

ურთიერთვერდაჩმორება

ფრთხილი ოპტიმისტის მოსაზრებები ნოემბრის ვერ-რევიოლუციის შედეგებზე

ჯერ ადრეა ბოლომდე შევაფასოთ, რა მოგვიტანა 2007 წლის ნოემბერმა. სტატიის ქვესათაური მკითხველს მიახვედრებს, რომ მომხდარში რაღაც პოზიტიურის დანახვასაც ვცდილობ. წარმოსახვით გადავიტანოთ თავი ცოტა შორეულ მომავალში - ვთქვათ, 5 ან 10 წლის შემდეგ - და ვიფიქროთ, იქიდან როგორ გამოჩნდება 2007 წლის ნოემბერი. შეიძლება აღმოჩნდეს, რომ ამ დღეებში შევდექით მოლიპულ გზაზე, რომელიც ქაოტური და არასრულყოფილი „ქართული“ დემოკრატიიდან „ესენგეური“ სტილის „მართული დემოკრატიისკენ“ მიდის. მაგრამ შეიძლება სხვა დასკვნაც გამოვიტანოთ.

პრეცედენტი და ტაბუ

რა არის შეფასების კრიტერიუმი? უპირველეს ყოვლისა, ის, თუ ნოემბერის მოვლენები რის პრეცედენტად იქცევა. პოლიტიკური განვითარება პრეცედენტებზეა აგებული: რაც ერთხელ ხდება, შემდეგი ქმედების ორიენტირია. ნოემბრის მოვლენებზე საუბრისას სულ ახლო წარსულს ვუხმობთ: რაღაცას 9 აპრილს ვადარებთ, რაღაცას - „საშობაო გადატრიალებას“, რაღაცას - „ვარდების რევიოლუციას“. თუ, ვთქვათ, 9 აპრილი ცუდი იყო, ყველაფერი, რაც მას რაღაცნაირად წააგავს, დანაშაულია. თუ „ვარდების რევიოლუციას“ კარგად ვთვლით (ხელისუფლება ხომ თვლის კარგად?) - ესე იგი, ყველაფერი, რაც მას წააგავს, გამართლებული უნდა იყოს (ან ხელისუფლებას აღარა აქვს მორალური უფლება, რევიოლუციის განმეორებას წინ აღუდგეს).

პრეცედენტის ნაირსახეობაა ტაბუს დარღვევა. დემოკრატია, სხვა ყველაფერთან ერთად, ტაბუს პრინციპზეცაა აგებული: რაღაცეების გაკეთება არ შეიძლება, რადგან ეს არ გაკეთებულა, ან დიდი ხანია არ გაკეთებულა. თუ ნავსი ერთხელ გატყდა, აკრძალვა იხსნება და რაც დაუშვებელი იყო, დასაშვები ხდება. იგივე ლოგიკაა ტრადიციულ წარმოდგენაში: თუ ქალი ერთხელ შეცდა, მერე აუცილებლად გაბოზდება. თუ ხელისუფლება ერთხელ შევარდა დამოუკიდებელ ტელეკომპანიაში და ეს შერჩა, მერე რაღა დაუშლის ასეთსავე ქცევას?

რა ღირს პოლიტიკური ოპონენტის ციხეში ჩასმა?

ასეთი რამდენიმე ტაბუ დაირღვა ამ შემოდგომაზე. პირველი ირაკლი ოქრუაშვილის დაპატიმრება იყო. 27 სექტემბრის საღამოს მდგომარეობით ოქრუაშვილი ყველაზე პოპულარული და პერსპექტიული ოპოზიციური ლიდერი იყო. საქართველოს რეალობაში არასოდეს მომხდარა, რომ ხელისუფლებას ოპოზიციის სერიოზული ლიდერი დაეჭიროს. უფრო სწორად, მომხდარა (გიორგი ჭანტურია 1991 წლის შემოდგომაზე), მაგრამ მერე იმ ხელისუფლებას რა დაემართა, ყველას გვახსოვს. ამიტომ სექტემბერში ოპოზიცია თამამად იძლეოდა

ინტერვიუებს: ვერ გაბედავს მთავრობა ოქრუაშვილის დაპატიმრებას. მეც, პოლიტოლოგის ცოდვა გამხელილი სჯობს, ამას მაინცდამაინც არ ვწინასწარმეტყველებდი. მაგრამ გაბედეს.

რისი პრეცედენტია ეს? ხელისუფლებას აქვს თავისი პასუხი: ოპოზიციაში გადასვლა კორუმპირებულ პოლიტიკოსს იმუნიტეტს ვერ მოუპოვებს. მას კონკრეტული არგუმენტებიც აქვს: ოქრუაშვილი წინააღმდეგ გამოძიება პროკურატურამ ჯერ კიდევ მარტში დაიწყო, კონტროლის პალატის შემოწმების საფუძველზე, რომელიც მისი მინისტრობის დროს შედგა. ხელისუფლება თვლის, რომ კორუფციასთან ბრძოლით საკმარისი მორალური კაპიტალი დაგროვა საიმისოდ, რომ, ასეთი ბრალდებით პოპულარული ოპოზიციური ლიდერის დაპატიმრება შეეძლოს: პირიქით, პრინციპულობისთვის შექებასაც კი ელის. ოპოზიციის - და არა მხოლოდ მისი - გადმოსახედიდან სხვანაირად ჩანს: როგორც კი ხელისუფლებას სერიოზული ოპონენტი გამოუჩნდა (ასეთი კი ოქრუაშვილამდე არ ჰყოლია), მან ხელი აიღო ბრძოლის პოლიტიკურ მეთოდებზე და რეპრესიაზე გადავიდა. რა მნიშვნელობა აქვს, რა შარი მოსდო: როგორც საბჭოთა გამოცდილებიდან ვიცით, კაცი იყოს და რამე მუხლს ყოველთვის მიუყენებ. მოძმე პაკისტანი გავიხსენოთ, რომელმაც სწორედ ამ დღეებში საქართველო დაჩრდილა: ყველაზე ძლიერ ოპოციონერებს, ბენაზირ ბჰუტოს და ნავაზ შარიფს, იქაც დროდადრო კორუფციაში სდებენ ბრალს. მიდი და არკვიე ახლა, მართლა წაუცდათ ხელი რამეზე თუ არა - ვის აინტერესებს ეს? როცა ხელისუფლება ძირითად პოლიტიკურ ოპონენტს კორუფციის ბრალდებით აპატიმრებს, მასობრივი აღქმა ყოველთვის პოლიტიკურ მოტივს მიაწერს. ამას არაფერი ეშველება.

არის ოქრუაშვილის დაპატიმრება სამომავლო პრეცედენტი? ასე დავსვათ საკითხი: გაუვიდა ხელისუფლებას ეს მოქმედება? ერთი მხრივ, თვითონ ოქრუაშვილი მართლაც „გაფარჩაქდა“ (თუმცა, ჩვენს ქვეყანაში არასოდეს უნდა თქვა „არასოდეს“: ვიღაცის თვალში ის დღესაც გმირია). მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ, რომ 2-7 ნოემბერი 27 სექტემბრის უშუალო გაგრძელება და შედეგი იყო, ოქრუაშვილის დაპატიმრება ხელისუფლებას პოლიტიკურად ძვირი დაუჯდა. საერთაშორისო პრეტიჟი გვერდზე რომ გადავდოთ, სააკაშვილმა თითქმის ერთი წელი ჩამოაჭრა თავის საპრეზიდენტო ვადას და სხვა დათმობების გაკეთებაც მოუხდა ოპოზიციის მიმართ. ეს რაც უკვე ვიცით: იანვრის არჩევნების შედეგების მიხედვით, ფასი შეიძლება კიდევ უფრო გაიზარდოს. ამ წუთისთვის პრეცედენტის შეფასება შემდეგია: პოპულარული პოლიტიკური ოპონენტის დაპატიმრება პოლიტიკურად ძვირი ჯდება, თუნდაც საკმაოდ დამაჯერებელი სამართლებრივი საფუძველი გქონდეს.

რუსთაველის გამზირის რეალპოლიტიკა

გენერალური ბრძოლა - როგორც 1989 წლის აპრილში, 1991 წლის შემოდგომასა და ზამთარში, 2001 წლის ოქტომბერ-ნოემბერში და 2003-ის ნოემბერში - ახლაც რუსთაველის გამზირზე, ქართული დემოკრატიის გეოპოლიტიკურ ცენტრში გაიმართა. რას გვეუბნებოდა დღემდე ქართული პოლიტიკის პრეცედენტული სამართალი? დასკვნა საკმაოდ ცხადი იყო: თუ

რუსთაველზე ხალხის კრიტიკული მასა შეგროვდა (პირობითად დავარქვათ მას ასი ათასი ადამიანი - თუმცა კარგად ვიცი, რამდენად მიკერძოებული და არასანდოა მიტინგის მონაწილეთა სტატისტიკა), მთავრობა ან მაშინვე მიდის, ან რაღაც დროით „ჩმორდება“, რაც ფაქტობრივ ორხელისუფლებიანობას ნიშნავს. კონტროლი ნაწილდება იმათ შორის, ვისიც ჯერ კიდევ არის შენობები და ვისიც უკვე არის ქუჩა. ასეთი დაჩმორებული ხელისუფლების კლასიკური მაგალითი იყო გივი გუმბარიძე 1989 წლის აპრილსა და 1991 წლის ოქტომბერს შორის. გამსახურდია 1991-ის შემოდგომაზე ან შევარდნაძე 2001-ის ნოემბრის შემდეგ იხტიბარს არ იტეხდნენ, მაგრამ ისინიც რუსთაველის პროსპექტიდან მიყენებული დარტყმების შემდეგ წელში ვეღარ გაიმართნენ.

ამ პრეცედენტებზე აიგო ქართული დემოკრატიული ნარატივი. დემოკრატია რუსთაველზე გამოსული ხალხი განასახიერებს. განმეორებადი დემოკრატიული ჰეფი-ენდები სამიტინგე ჰეგემონის წარმატებებს უკავშირდება: რუსთაველზე გამოსული ხალხი იმარჯვებს, ხოლო ბოროტ ავროკრატებს ბოლოს მაშინ ხედავენ, როცა ქაჯეთის ციხიდან ისტორიის სანაგვისკენ თავქუდმოგლეჯილი გარბიან.

მაგრამ როგორც ტრადიციული ნარატივებიდან ვიცით, ჰეფი-ენდს მარტო ქაჯების დამარცხება არ ყოფნის. „ჭირი იქა, ლხინი აქას“ უნდა მოყვეს ბედნიერი ქორწინება: ამ შემთხვევაში, ხალხსა და სახელისუფლებო ინსტიტუტებს შორის. მაგრამ სიამტკილობა რუსთაველიდან სახლებში დაბრუნებულ ნაწილსა და მათსავე სამთავრობო დაწესებულებებში გადაბარებულ ლიდერებს შორის ვერაფრით მყარდება. თუ ჩვენს სერიულ ოპოზიციონერებს დავუჯერებთ, ქაჯეთის ციხის აურაში მოხვედრისას ყოფილი დემოკრატები კრიმინალებად და სისხლისმსმელებად გადაიქცევიან, ხალხი კი ცოტა ხანს ცხვარია, მაგრამ ბოლოს ცხარდება და... იხ. ზემოთ.

პრეცედენტული სამართალი, მიუხედავად იმისა, ფორმდება თუ არა დაწერილ კანონებად, ლეგიტიმურობის საფუძვლად იქცევა. რაკი რუსთაველზე ერთად შეგროვილი ასი ათასი კაცი *რეალურად* დემოკრატიული ძალაუფლების მატარებელი ხდებოდა, ბევრი ქართველის თვალში - იმისა, თავს „ნამდვილ დემოკრატს“ რომ ეძახის - ის *ლეგიტიმური* ძალაუფლების მატარებელიც გახდა. საპროტესტო აქციების მონაწილეებისა და თანამგრძნობლების აზრით, ფიზიკურად ერთად შეგროვილი ბევრი ხალხი არანაკლებ ლეგიტიმური ორგანოა ძალაუფლებისა, ვიდრე არჩეული პრეზიდენტი ან პარლამენტი - უფრო სწორად, აღემატება კიდევ მას, რადგან ეს ხალხი აგერ ახლა დგას რუსთაველზე, არჩევნები კი როდის იყო... მას აქვს უპირატესი უფლება, განმარტოს კონსტიტუცია, შეცვალოს კანონები, ასე გასინჯეთ, სამამართლოზეც მოახდინოს ზეწოლა („ვისზე ვართ ნაკლები?“): დაადგინოს, ვინ არის გასანთავისუფლებელი, როგორც „პოლიტპატიმარი“, და ხელისუფლებიდან ვინ არის ჩასასმელი მის ადგილას.

რა აქცევს მიტინგს დემოკრატიული ქმედების კანონიერ ფორმად? ორი ნოემბრის მიტინგი თავისი ფორმითაც და მოთხოვნების შინაარსითაც სრულიად ნორმალური დემოკრატიული აქტი იყო. დროდადრო ასეთი „შეჯანჯღარება“ ყველა ხელისუფლებას მოუხდება და მათ შორის (შეიძლება განსაკუთრებით) ჩვენსას. არანორმალურად (დემოკრატის და არა ქართული პრეცედენტული სამართლის ნორმებით) მას აქცევს წარმოდგენა, რომ რაკი მიტინგზე ბევრი ხალხი

მოვიდა, ხელისუფლება ვალდებულია მისი მოთხოვნები შეასრულოს. სწორედ ეს დაშვება იმთავითვე აქცევს მიტინგს ახალი რევოლუციის მცდელობად: თუ ხელისუფლება „ხალხს“ არ ემორჩილება, მას აიძულებენ.

მიტინგი კანონიერია იმდენად, რამდენადაც ის არის საშუალება, საზოგადოების რაღაც ნაწილმა ხელისუფლებას თავისი აზრი და მოთხოვნები მიაწვდინოს. ხელისუფლება (მორალურად) ვალდებულია, საზოგადოებას მოუსმინოს და - თუ ის რაციონალურია - თავს ვერ მისცემს იმის უფლებას, ეს მოთხოვნები სრულიად უგულვებელყოს. მაგრამ მიტინგი არალეგიტიმურად იქცევა იმ წუთიდან, როდესაც ის პრეტენზიას აცხადებს უფლებაზე, ცალმხრივად უკარნახოს ხელისუფლებას თავისი ნება, ანუ კონსტიტუციურად არჩეულ ხელისუფლებაზე მაღლა დააყენოს თავი. ყველაზე მწვავე მოთხოვნების, მათ შორის პრეზიდენტის თუ პარლამენტის გადადგომის მოთხოვნის, დაყენება სრულიად ნორმალურია. მაგრამ მიტინგი კანონიერი ხელისუფლების დამხობის მცდელობად იქცევა იმ წუთიდან, როცა მისი ლიდერები ერთი მეორის მიყოლებით აცხადებენ: დღეს ჩვენ „გავაცილებთ“ ხელისუფლებას. შეგვიძლია ვიდავოთ იმაზე, ეროვნული ინტერესების პოზიციიდან, ერთადერთი სწორი იყო თუ არა ხელისუფლების 7 ნოემბრის გადაწყვეტილება, ჯერ რუსთაველზე, ხოლო შემდეგ რიყეზე მიტინგები დაეშალა. ასევე სამართლიანია, ყურადღება მივაქციოთ პოლიციის მიერ ძალის გადამეტებას. მაგრამ თავად მიტინგის მონაწილეებს (ლიდერებსაც და რიგითებსაც) საპრეტენზიო არაფერი აქვთ: ჯერ ხმამაღლა გაყვიროდე, ხელისუფლება დღესვე უნდა დავამხო, და მერე იმისგან ცრემლსადენი გაზი და ხელკეტები გეწყინოს? ეგრე სადაა.

პოზიტიური შედეგი: ურთიერთვერდაჩმორება

7 ნოემბრის შემდეგ პირველად საქართველოს ისტორიაში შეიქმნა პრეცედენტი, რომ რუსთაველზე მოსულმა ასმა ათასმა კაცმა ხელისუფლება ვერ დააჩოქა. ესე იგი, კონსტიტუციურმა დემოკრატია გაიმარჯვა სამიტინგეზე. ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით. ეს კარგია, მაგრამ ერთი პირობით: თუ ის დემოკრატიად დარჩა. მიტინგზე მოსული ხალხის მიერ ხელისუფლების მუდმივი „დაჩმორება“ ნიშნავს პერმანენტულ რევოლუციას - ეს უბედურებაა. მაგრამ თუ ამის სანაცვლოდ ხელისუფლებამ ხალხი - მათ შორის, ოპოზიციურად განწყობილი ადამიანები - დააჩმორა, დემოკრატიისთვის ეს არანაკლები უბედურებაა (და ახალი რევოლუციების გამართლებად იქცევა).

გვამღვეს მოვლენათა განვითარება ამ უკანასკნელი დასკვნის გაკეთების საშუალებას? ნეგატიური პრეცედენტები აშკარაა. ცხრადღიანი საგანგებო მდგომარეობის გამოცდილებით შეიძლება ვიდაცამ დაასკვნას: თუ ცხრა დღით დიქტატურის დამყარებას არაუშავს, ხომ შეიძლება შეეჩვიო და მერე ერთი თვით შეაჩერო დემოკრატია, ან ორი წლით, ან მეტით? ან „იმედის“ გათიშვა ავიღოთ. ექვი არ მეპარება, რომ ბოლო ხანებში „იმედი“ კონკრეტული პოლიტიკური ფიგურის - ბადრი პატარკაციშვილის - მიერ კონკრეტული პოლიტიკური პროექტის - „ვარდების რევოლუციის“ განმეორების - განხორციელების იარაღად იქცა. მომწონს ეს? არა. მაგრამ საკმარისია ეს ბრალდება არხის დასახურად? შეიძლება დავა, ქმნიდა თუ არა „იმედი“ 7 ნოემბრის საღამოს გადატრიალების

მყისიერ საფრთხეს, მაგრამ როგორც პრეცედენტი, მისი დახურვა უდავოდ სახიფათოა. პოლიტიკურად სრულიად ნეიტრალური დამოუკიდებელი მედია ბუნებაში არ არსებობს. „იმედი“ მეტი იყო, ვიდრე უბრალოდ „არანეიტრალური“ - მაგრამ ვინ უნდა იყოს იმის განმსჯელი, თუ სად გადის ზღვარი? პრეცედენტი ჯერჯერობით ასე გამოიყურება: ხელისუფლებამ ცალმხრივად გადაწყვიტა, რომ არხი არაკეთილსინდისიერია, შევარდა, დახურა და ჯერჯერობით არ ხსნის. კარგს მოასწავებს ეს ქართული დემოკრატიისთვის? არა.

შეშფოთება კანონიერია. მაგრამ რა ეშველება ამ და სხვა შეშფოთებებს? საბოლოოდ როგორ უნდა გადაწყდეს საკითხი (არა „იმედის“, არამედ დემოკრატიის)? ოპოზიციის უდიდესი ნაწილი ახალ ჯადოსნურ ჯოხს გვთავაზობს - საპრეზიდენტო სისტემის საპარლამენტოთი შეცვლას (კონსტიტუციური მონარქით თუ უმისოდ). ზოგადად ვფიქრობ (და სხვაგან მიცდია ამის დასაბუთება) რომ, ყველა ფაქტორის შეჯამებით, საპარლამენტო რესპუბლიკა უკეთეს შანსს იძლევა, საქართველოს პოლიტიკური სისტემა დემოკრატიული იყოს და მეტ-ნაკლებად სტაბილურიც, ვიდრე მისი ალტერნატივები. მაგრამ იმის თქმა, რომ საკმარისია პრეზიდენტად ავირჩიოთ კაცი (ან ქალი), ვისაც პრეზიდენტობა არ უნდა, და ამით ავიცილებთ ავტოკრატიულ ცთუნებებს, რბილად რომ ვთქვათ, ძალიან ძალიან ძალიან გულუბრყვილოა. საპარლამენტო სისტემა ეფექტური ვერ იქნება მყარი საპარლამენტო უმრავლესობების გარეშე, ხოლო ძლიერი პარტიების არარსებობის პირობებში მათ შექმნასაც შეიძლება დასჭირდეს ქარიზმატული ლიდერები. ან ისეთ „ბარდაკს“ მივიღებთ, რომ მართლა დიქტატურა მოგვენატრება.

დემოკრატია მხოლოდ კარგი კონსტიტუციის დაწერით არ მიიღწევა (ოღონდ კონსტიტუციების უპატივცემულობას ნუ დამწამებთ!). მისი რეალური საფუძველია გარკვეული წონასწორობა სოციალურ და პოლიტიკურ ჯგუფებს შორის. ამ მხრივ ნოემბრის ვერ-რევოლუციის შედეგები შეიძლება (ჯერ მხოლოდ შეიძლება!) მნიშვნელოვანი დადებითი პრეცედენტი აღმოჩნდეს. ჩვენ შევეჩვიეთ იმას, რომ ყოველი პოლიტიკური კრიზისის შედეგად გამარჯვებული მხარე სამარცხვინოდ დიდი პროცენტებით იგებს არჩევნებს, მეორე კი უბრალოდ „ჩაირეცხება“. ეს პირველი შემთხვევაა, როცა კრიზისიდან დროებით მაინც გამოვედით ისე, რომ ორივე მხარეს აქვს საფუძველი, გამარჯვებულად ჩათვალოს თავი. პრეზიდენტმა სააკაშვილმა და მისმა უმრავლესობამ პოლიტიკური ინიციატივა დაიბრუნა და აჩვენა, რომ სიტუაციის კონტროლი შეუძლია. მაგრამ ოპოზიციასაც აქვს საფუძველი გამარჯვებით იამაყოს: მრავალი მისი მოთხოვნა დაკმაყოფილდა, თუმცა არა მთლად იმ ფორმით, როგორც უნდოდა. არც ერთი მხარეა ბოლომდე კმაყოფილი ან ბოლომდე დამარცხებული.

დემოკრატია ასეთი პრეცედენტების მომრავლებით აიგება და არა ერთი კარგი რევოლუციით ან ერთი კარგი კონსტიტუციით. ინგლისში პირველი ასეთი პრეცედენტი 1215 წელს ჰქონდათ, როცა მეფემ და დიდგვაროვნებმა ერთმანეთი ვერ დააჩმორეს და იძულებული გახდნენ, შეთანხმება გაეფორმებინათ (მას „მაგნა კარტა“ დაერქვა). ჩვენ ჯერ არ ვიცით, რის პრეცედენტად იქცევა იანვრის საპრეზიდენტო არჩევნები. თუმცა ერთი რამის თქმა ახლავე შეგვიძლია: ეს პირველი საპრეზიდენტო არჩევნებია, სადაც გამარჯვებულის ვინაობა წინასწარ ყველასათვის ცხადი არ არის. სწორედ ამიტომ ეს ძალიან სახიფათოა და ვიცი, რომ

ბევრს ამ გაურკვევლობის ეშინია. მაგრამ დემოკრატია ყოველთვის გაურკვეველია და ამდენად სახიფათო - ამას კი უნდა შევჩვეოდით ამდენ ხანს.

გია ნოდია